

მოქალაქეები ნოდარ გეორგაძე და თეიმურაზ ონიანის დაჯარიმების
შ ე ს ა ხ ე ბ

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებით 29.08.2014 წ. №ო-6848 მომართა ნ.ლორთქიფანიძის ქუჩა №3-ში მცხოვრებმა მოქ. ნოდარ გეორგაძე და თეიმურაზ ონიანმა, რომელიც ითხოვდნენ ქალაქ ქუთაისში, შოთა რუსთაველის გამზირი №29-ში კუთვნილ მიწის ნაკვეთში ავტოსატრანსპორტო საშუალებების მომსახურების შენობის კორექტირებული სამშენებლო დოკუმენტის პროექტის შეთანხმებას (რაც გულისხმობს შენობის ფუნქციის შეცვლას სასტუმროს ფუნქციით).

შემოწმებით დადგინდა, რომ მშენებლობა ნაწარმოებია პროექტის დარღვევით, კერძოდ: - შენობის სიგრძე გაზრდილია 24,690 მეტრამდე, უნდა იყოს 21,95 მეტრი, რაც პროექტით არ არის გათვალისწინებული. პირველი სართული 1და2 ღერძებს შორის დამატებულია რკინა-ბეტონის კოლონა 1 (ერთი) ცალი. შენობა არის 4 (ოთხ)სართულიანი მანსარდით, უნდა იყოს 2(ორი) სართული.

აღნიშნულით დარღვეულია „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, რაც ითვალისწინებს დამრღვევის დაჯარიმებას 1000 (ათასი) ლარის ოდენობით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე-ე“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. მოქ. ნოდარ გეორგაძე და თეიმურაზ ონიანი მცხოვრები ქ.ქუთაისი ნ.ლორთქიფანიძის ქუჩა №3-ში „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 45-ე მუხლის“ პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დაჯარიმდეს 1000 /ათასი/ ლარით.

2. ცნობად იქნეს მიღებული, რომ დაჯარიმება დამრღვევს არ ათავისუფლებს დარღვევის გამოსწორებისაგან, ასევე, დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, მიღებული იქნება გადაწყვეტილება საურავის დაკისრების შესახებ.

3. ჯარიმა ჩაირიცხოს: მიმღების დასახელება: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო ქუთაისი, ანგარიშის №200122900, მიმღები ბანკი – სახელმწიფო ხაზინა, მიმღები ბანკის კოდი 220101222, საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი 300183263, შემოსავალი არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში სამართალდარღვევებიდან.

4. სამართალდამრღვევმა ჯარიმის თანხა უნდა გადაიხადოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აქტის ჩაბარებიდან 30 დღეში.

5. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ, ნოდარ მიქიაშვილმა

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრაძის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან 15 დღის განმავლობაში.

7. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი

შოთა მურღულია